

თეა ნოდია, ხატია ხატიაშვილი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო მემანიშვილი

სასწავლო საგანმანათლებლო ცენტრი "ედუმედიატორ +"

nino.memanishvili3@gmail.com; teanodia73@gmail.com; khatia.khatiaashvili@tsu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.49>

ფუნქციური სინტაქსი და გრამატიკული სემანტიკა რუსულის, როგორც უცხოური ენის სწავლებაში

საკვანძო სიტყვები: ფუნქციური სინტაქსი, გრამატიკული სემანტიკა, რუსულის, როგორც უცხოური ენის სწავლება ქართული აუდიტორიისთვის

ჩვენ მიერ დასმული პრობლემები განიხილება რუსულის, როგორც უცხოური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების პრიზმაში. იგულისხმება შემდეგი საკითხები: ა) ფუნქციონალურ-სემანტიკური ველებისა და კატეგორიების სისტემა; ბ) კატეგორიათაშორისი კავშირები; გ) გრამატიკული სემანტიკის სპეციფიკური მოდელები და მათი გარემოცვა; დ) კონკრეტული ენის სისტემით, მისი კატეგორიებითა და ფორმებით განსაზღვრული მნიშვნელობის გადმოცემის გზები.

ტრადიციული გრამატიკისგან განსხვავებით, რომელიც პასუხობს შეკითხვას – „როგორ არის მოწყობილი ენობრივი სისტემა?“, ფუნქციური გრამატიკა, ამ სისტემის სტრუქტურის გათვალისწინებით, პასუხობს შეკითხვას – „როგორ ფუნქციონირებს ის?“ ტრადიციული გრამატიკა ენობრივ ფაქტებს ფორმიდან მნიშვნელობის მიმართულებით აღწერს. ფუნქციური გრამატიკა ენობრივ მასალას მნიშვნელობიდან გამოხატვის მიმართულებით ანალიზებს, ფუნქციებიდან მათი განხორციელების საშუალებებამდე. წინამდებარე სტატიაში ჩვენ გრამატიკის ერთიანობის პრინციპიდან – მისი სტრუქტურული და ფუნქციური ასპექტების ერთიანობიდან, სისტემურ-ენობრივი და სამეტყველო ელემენტებიდან გამოვდივართ. სწორედ ეს ასპექტი უნდა იყოს მთავარი უცხო გარემოში რუსული ენის სწავლების პროცესში. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა გრამატიკული აღწერის სისტემურ-ენობრივ და კომუნიკაციურ ასპექტებს შორის ურთიერთკავშირის ელემენტებისა და ფორმების სპეციალურ დამუშავებას გულისხმობს. ეს კავშირი გამოიხატება იმაში, რომ ენობრივი მასალის გაანალიზებისას განსაკუთრებული ყურადღება მოსაუბრის ზრახვებს ექცევა.

რუსულ ენაზე აზრის ფორმულირების დროს, საუბრისას ან წერისას, საჭიროა არა უბრალოდ შინაარსის მატარებელი ერთეულების ერთმანეთის გვერდით მოთავსება, არამედ იმ წესების გათვალისწინება, რომლებიც რუსულ ენაზე ფრაზებისა და წინადადებების წმინდა ფორმალურ წყობას განსაზღვრავენ.

მუშაობის პროცესში დასახული მიზნის რეალიზაციისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც რუსული წინადადების აგების მოთხოვნებს პასუხობენ.

მუშაობის დროს განსაკუთრებით შემდეგი საკითხების გათვალისწინებაა აუცილებელი:

1. რა ფორმით ჩნდება ზმნა, მის მიერ დახასიათებული ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვის გრამატიკული ნიშნებიდან გამომდინარე?
2. რა ფორმაში უნდა იდგნენ არსებითი სახელის განმსაზღვრელი ზედსართავი სახელი და მიმღობა?
3. რა ფორმა უნდა ჰქონდეთ არსებით სახელებთან ერთად მდგომ რიცხვით სახელებს, სიტყვებს: *один, два, оба, полтора* და ა.შ.?
4. როგორ განვსაზღვროთ არსებითი სახელის გრამატიკული სქესი მისი სიტყვიერი ფორმის მიხედვით?
5. რა ფორმითაა წარმოდგენილი არსებითი სახელების მმართველი ზმნები?
6. არსებითი სახელების ბრუნების რომელი ფორმები გამოიყენება თანდებულების/წინდებულების შემდეგ?

ფუნქციური ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი შედარებაა.

სხვადასხვა ენაში ერთი და იმავე სემანტიკურ კატეგორიასთან დაკავშირებული ფუნქციონალურ-სემანტიკური ველები სტრუქტურულად შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს.

მაგალითისთვის ავიღოთ თემა „ობიექტური ურთიერთმიმართებების გამოხატვა/გადმოცემა“.

რუსულში გარდამავალ ზმნასთან პირდაპირი ობიექტი ბრალდებით ბრუნვაში დგას წინდებულის გარეშე. უარყოფისას, ჩვეულებრივ, რუსული ნათესაობითი ბრუნვით ოპერირებს:

Мальчик собирает марки.

Мальчик не собирает марки.

ზმნებთან *ждать, желать, требовать, искать* ბრალდებით ბრუნვაში სულიერი არსებითი სახელი დგას, ნათესაობითში – უსულო:

Мальчик ждет сестру.

Мальчик ждет трамвая.

მეტყველებისა და აზრის გამომხატველ ზმნებთან ობიექტი შეიძლება ბრალდებით ან პრეპოზიციურ ბრუნვაში იდგეს. ქართულში მათ შეესაბამება: ბრალდებით ბრუნვას – მიცემითი, პრეპოზიციურ ბრუნვას – ნათესაობითი + სიტყვა „შესახებ“.

Я люблю свою собаку. Я увлекаюсь музыкой. Я надеюсь на тебя.

ამ კონსტრუქციების ცენტრი არის გრძნობის გამომხატველი ზმნა. ობიექტი ბრალდებით ან მოქმედებით ბრუნვაშია. მეორე კონსტრუქციაში ქართულ მოქმედებით ბრუნვას რუსული მოქმედებითი შეესაბამება, ხოლო მესამეში – ქართულ ნათესაობითს რუსული ბრალდებითი *на* წინდებულებით.

გადაადგილების საშუალების მნიშვნელობის მქონე ობიექტი შეიძლება მოქმედებით ან პრეპოზიციურ ბრუნვაში იდგეს. გამონაკლისია სიტყვა *метро*.

პრეპოზიციური ბრუნვის ფორმების მქონე კონსტრუქციებში, რომლებსაც საშუალების მნიშვნელობა აქვთ, ქართულ პოსტპოზიციას *დან* რუსულში წინდებულები *из, от, с* შეესაბამება.

Из газет – გაზეთებიდან От института – ინსტიტუტიდან С утра – დილიდან
თუ პრეპოზიციური ბრუნვის ფორმებს წყაროს/ამოსავალის მნიშვნელობა აქვთ, მაშინ ქართულ პოსტპოზიციას *გან-ს* რუსულში წინდებულები *из, от* შეესაბამება.

Получил подарок от сестры. – დისგან საჩუქარი მიიღო.

რუსულში კონსტრუქცია: წინდებული *с* + მოქმედებითი ბრუნვა მოქმედების მონაწილეს აღნიშნავს. კონსტრუქცია: წინდებული *без* + ნათესაობითი ბრუნვა წინა ფორმის ანტონიმია.

Мальчик попрощался с товарищами.

Книгу выпустили без иллюстраций.

„სასაცილებელი“ ობიექტის მნიშვნელობას ნათესაობითი ბრუნვის ფორმა აქვს წინდებულით *от*, დატივის შემთხვევაში წინდებულს *к* „შეხების ობიექტის“ მნიშვნელობა აქვს.

Освободили от работы.

Лодку привязали к берегу.

ირიბი ობიექტი ქონებრივ ურთიერთობებში მონაწილის მნიშვნელობით, რომელიც ქართულ ენაში მიცემითი ბრუნვით გადმოიცემა, რუსულად ითარგმნება დატივით წინდებულის გარეშე, ასევე, ნათესაობითით *у* წინდებულის გამოყენებით.

Отец подарил сыну книгу. Ребенок просит у бабушки конфеты.

ამრიგად, გრამატიკული ერთეულების, კლასებისა და კატეგორიების სისტემების კავშირები მათ ლექსიკურ-გრამატიკულ და ლექსიკურ გარემოცვასთან ფუნქციური სინტაქსისა და გრამატიკული სემანტიკის სფეროში გრამატიკის საზღვრებს აფართოებს და იმ გარემოს წარმოქმნის, რომელშიც მორფოლოგიისა და სინტაქსის კატეგორიები ოპერირებენ. ფუნქციური გრამატიკა მოიცავს არა მხოლოდ სისტემას, არამედ მის გარემოსაც, ამიტომ ის გრამატიკაა ამ ცნების ფართო გაგებით.

ლიტერატურა:

1. ბონდარკო ა.ვ. ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები. სანკტ-პეტერბურგი: პეტერბურგის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001 წ. (რუსულ ენაზე)
2. მილოსლავსკი ი.გ. რუსული ენის მოკლე პრაქტიკული გრამატიკა. მოსკოვი: გამომცემლობა „რუსკი იაზიკ“, 1987 წ. (რუსულ ენაზე)
3. ჭოხონელიძე ნ.ს. რუსული ენის პრაქტიკული გრამატიკა. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2008 წ. (რუსულ ენაზე)
4. ჭოხონელიძე ნ.ს., აგლაძე თ.კ., კაპანაძე ი.ბ. რუსული ენა. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2001 წ. (რუსულ ენაზე)

Functional Syntax and Grammatical Semantics in Teaching Russian as a Foreign Language

Abstract

The problems we have raised are considered through the prism of modern methods of teaching Russian as a foreign language. The following issues are meant: a) the system of functional-semantic fields and categories; b) inter-category connections; c) specific models of grammatical semantics and their environment; d) ways of conveying meaning determined by a specific language system, its categories and forms.

Unlike traditional grammar, which answers the question – “How is the language system arranged?”, functional grammar, taking into account the structure of this system, answers the question – “How does it function?” Traditional grammar describes linguistic facts from form to meaning. Functional grammar analyzes linguistic material from meaning to expression, from functions to means of their implementation. In this article, we proceed from the principle of unity of grammar - from the unity of its structural and functional aspects, from system-linguistic and speech elements. It is this aspect that should be the main one in the process of teaching the Russian language in a foreign environment. The solution to this problem involves a special treatment of the elements and forms of the relationship between the system-linguistic and communicative aspects of grammatical description. This connection is expressed in the fact that when analyzing linguistic material, special attention is paid to the speaker's intentions.

When formulating a thought in Russian, whether speaking or writing, it is necessary not only to place meaningful units next to each other, but also to take into account the rules that determine the purely formal structure of phrases and sentences in the Russian language.

In the process of working, in order to achieve the set goal, special attention should be paid to a number of issues that meet the requirements of constructing a Russian sentence.

During work, it is especially necessary to take into account the following issues:

1. In what form does a verb appear, based on the grammatical features of the word denoting the object it characterizes?
2. In what form should the adjective and the possessive adjective defining a noun be?
3. In what form should the numerals and words that stand with nouns have: один, два, оба, полтора, etc.?
4. How to determine the grammatical gender of a noun based on its verbal form?
5. In what form are the verbs governing nouns presented?
6. Which forms of noun inflections are used after a conjunction/preposition?

One of the important aspects of functional analysis is comparison.

In different languages, the functional-semantic fields associated with the same semantic category can differ significantly in structure.

The connections of grammatical units, classes, and systems of categories with their lexical-grammatical and lexical environment in the field of functional syntax and grammatical semantics expand the boundaries of grammar and create the environment in which the categories of morphology and syntax operate. Functional grammar includes not only the system, but also its environment, therefore it is grammar in the broadest sense of this concept.

Key words: Functional Syntax, Grammatical Semantics, Teaching Russian Language